საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო შაბათი, 23 აგვისტო 1919 წ. № 168

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი გამოდის: 1 თვით 25 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების როგორც პირველ გვერდზე, ისე ტექსტში პეტიტის სტრიქონი—2 შაბათის ნომერში—4 მანეთი. განცხადება 40 მანეთი. ნისიად განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფედერალური კომიტეტისა.

მეუღლე ივლიტა და შვილები: გეოასიმე, მაშო, ელიჩკა, ევგენი და მიტო მახარაძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი მამის

გიორგი ნიკოლოზის ძე მახარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 22 აგვისტოს, ს. ღ. 7 საათ. (ვეძინის ქ. № 28). გამოსვენება შაბათს, 23 აგვისტოს, დილის 10 საათ. კალოუბნის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მაკა გაბრიელის ასული მახარაძისა, შვილები: ფილიპე, ბარნაბა და მარინე, სიძეები: აკაკი ივანეს ძე ვასაძე და ამბაკო ვასილის ძე ბარამიძე, რძლები: ზინა და ნინა, შვილის შვილები: იოსებ, გრიგოლ, პეტრე, ქეთო და ალექსანდრე მაქსიმეს ძენი, აოჩილ, ეკატერინე და თამარა ფილიპეს ძენი და ასულნი, ანნა და ნიკოლოზ ბარნაბას ძენი, ქრისტეფორე მეუღლე მატრონათი და ნოე ვასაძენი, ვასილ, პლატონ, გერასიმე და ვლადიმერ ბარამიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მწუხარებით

იესე გაბრიელის ძე მახარაძის

გარდაცვალებას სოფ. გომში. დასაფლავება მოხდება შაბათს, 23 აგვისტოს.

დაძმწუხრებულნი მეუღლე ნინა, დედა ბარბალე, ბიძა ილარიონი, ბიცოლა აგრაფინა, ბიძაშვილები: პოლია, სონა და იპოლიტე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ შაბათს, 30 აგვისტოს, გადახდილ იქნება ნაქალაქევში ორმოცი დღის წიოვა ქართ საყვარელი

კანდრატი გუგუნავას

სულ ს ძო ახს ხე ლათ.

ქუთაისის სამაზრო ეობის ტყეინკთა და გზათა მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირი აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ აძხ.

ალექსანდრე მიხეილის ძე გაგუნიას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე კვირას, 24 ძარიამობისთვეს ქ. სამტრედიაში ოკინის გზას სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდი 11 ნახ. საათზე.

ბათუმის სოციალდემოკრატიული ძუმათა პარტიის კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ შაბათს, 30 აგვისტოს, ნაქალაქევში გადახდილ იქნება წირვა ამხ.

კანდრატი გუგუნავას

სახსოვრათ

ღრმად დაძწუხრებულნი: დედა პელაგია, ძმები: მიხეილ და ვალიკო, დაი ხინო ქავქარაძეები, ბიძები: ისიდორე, ეროხინო, ივანე მამახაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ დაუკიწყარ

სიმონ მიხეილის ძე ქავშარაძის

უძროვოთ გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას, 24 აგვისტოს ადგილობრივ სასაფლაოზე ქ. ფოთში.

საშუარის რკინის გზის მუშათა კლუბში

კვირას, 24 აგვისტოს, მუშათა ჟურნალის „პროლეტარის“ სასარგებლოთ გაიმართება

პროლეტარული საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გოცირიძე, ო. ჯიბილა, დ. თუალდაპარელი, ვ. ოუხაძე, ობოლი მუშა, დ. მეჩონგურე და სხვ. (3—2)

უნგრეთის გედი

მოკავშირეთა რადიო ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, ნაბეჭდათ მაინც იძლევა ცნობებს უნგრეთში მოხდარი ამბების შესახებ.

ეს გასაგებიცაა. იმ ცვლილებებს, რომელიც ამ ჟამად უნგრეთში ხდება, შეუძლია დიდი ხნით გადასწყვიტოს აღმოსავლეთ ევროპის ბედი. მას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ბალკანეთის პოლიტიკურ ბედზე.

უნგრეთში მომხდარი ამბები საერთოდ შემდეგი სახით გვეხატება: რუმინიის ჯარების შეტევამ დასცა ბელაკუნის ბალშევიკური მთავრობა; ერთი ნაწილი უნგრეთის სახალხო კომისრებისა გაიქცა ვენაში, ნაწილი კი დაატუსაღეს. ბელა კუნის ადგილი დაიკავა წმინდა სოციალისტურმა მთავრობამ, რომელმაც რამდენიმე დღე იარსება და შემდეგ ადგილი დაუთმო ეროჭეროგ იოსების „ნაციონალურ“ დიქტატურას.

ეროჭეროგს დღემდე ვერ მოუხერხებია მთავრობის შედგენა, უკანასკნელი ცნობები კი ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ თვითონ იოსები „პირებს თავის პოსტზე უარის თქმას“. ყველა ეს ცვლილებები, როგორც უნგრეთის მთავრობაში ასე სისწრაფით ხდება, აიხსნება იმ რეალურ ძალთა ბრძოლით და ძალებით, რომელნიც განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას. ამ ჟამად ისეთი რეალური ძალა, რომელზედაც დამოკიდებულია უნგრეთის პოლიტიკური ცხოვრება, არის რუმინიის ჯარები, რომლებსაც უჭირავთ სატახტო ქალაქი, ყველა რკინის გზები და ინიშნებიან სტრატეგიული პუნქტები. ფაქტიურათ რუმინიას უკვე მოახდინა უნგრეთის okkupacia. რუმინიის მთავრობის ნებისყოფა სურვილებზეა დამოკიდებული, თუ როგორი მთავრობა და წყობილება იქნება უნგრეთში, ოღონდ რუმინიის მთავრობა ვერ ბედავს საბედისწერო წესების და უნგრეთის okkupacia გამოცხადებას. ის ეძებს თვით უნგრეთში ისეთ ძალებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ რუმინელების იქ გაბატონებას. ასეთი ძალა რუმინეთის მთავრობამ იპოვა უნგრეთის მაგნატებში (მსხვილი მემამულეები). უნგრეთის მსხვილმა მემამულე ბმა, რომლებსაც დღემდე შეუნარჩუნებიათ სოფლებში თავიანთი მამულები, კავშირი შეჰკრეს უცხოელ დამპყრობელებთან, რათა თავიდან აიცდინონ ფართო მასსის მემამულეების საწინააღმდეგო მოძრაობა. გრაფი ანდრაში (ერთ ერთი მსხვილი და გავლენიანი მაგნატი) აცხადებს, რომ უნგრეთის ერთად ერთი მტერია უკვე დამხობილი და დამარცხებული ბალშევიზმი. ამას ლაპარაკობს უნგრეთის მთავრობის წევრი მაშინ, როცა უნგრეთს ანადგურებენ რუმინიის ჯარები. და „ეს ერთად ერთი მტერი“ უნგრეთელ მემამულეთათვის არის არა ბალშევიზმი, არამედ მთელი ხალხის რევოლიუციონური მოძრაობა. და აი, ამ ბრძოლაში უნგრეთელი რეაქციონერები მზად არიან გაჰყიდონ ინტერესები თავისი ქვეყნისა, მზად არიან ამ მიზნით უნგრეთის ხალხს დაადგან უცხოელების უღელი. რუმინიის და უნგრეთის რეაქციონერების კავშირი მით უფრო საინტერესოა, რომ რუმინელთა საუკუნოებრივი შევიწროების, რუმინია უნგრეთ შორის მტრობის მიზეზი იყვნენ და არიან უნგრეთელი მაგნატები, რომელნიც სასტიკათ დევნიდენ უნგრეთში რუმინულ კულტურას, ენას.

ასეა თუ ისე, ამ ჟამად უნგრეთის ბედს განაგებენ რუმინიის ჯარები და მემამულენი, რომლებმაც რუმინელებს მიჰყიდეს თავიანთი თავი და ხალხი.—აი ამ ძალებმა წამოაყენეს მთავრობაში ირკჰერცოგი იოსები. ესეთივე ძალები ემზადებიან ახლა მის ჩამოსაგდებათ და ყოყმანობენ იმის შესახებ, დაუნიშნონ თუ არა პირდაპირ რუმინელი „მეფე“.

ეს ძალები ცდილობენ უნგრეთის ხალხის სახელით ლაპარაკს. ხალხი კი უცხო ჯარებისაგან განადგურებული და შეურაცყოფილი თავის გულისწყრომას და უკმაყოფილებას გამოხატავს მთელ რიგ გამოსვლებში,—აჯანყებებში და სხ. ღელავენ ქალაქები, ღელავენ სოფლები.

უნგრეთში შექმნილ მდგომარეობას არა თუ არ შეაქვს მშვიდობიანობა აღმოსავლეთ ევროპის ცხოვრებაში, არამედ—ის იმუქრება საქმის გართულებით და ახალი არეულობებით. ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება იმ შემთხვევაში, თუ გავიხსენებთ, რომ ჩეხო სლოვაკებს არ სურთ ეიუთმონ უნგრეთში ძალაუფლება რუმინელებს. რუმინიის ასეთი გაძლიერება ძლიერ ემუქრება ბალკანეთის მშვიდობიანობას და ამიტომ ბალკანეთის საკითხით დაინტერესებულთ არ შეეძლოთ თავისი უყურადღება არ მიექციათ იმ ამბებისათვის, რომელიც ამ ჟამად უნგრეთში ხდება.

მოკავშირენი დიდის შიშით უყურებენ უნგრეთის ამბებს. მათ წინადადება მისცეს რუმინიას გაეწმინდა უნგრეთის ტერიტორია თავისი ჯარებისაგან. მაგრამ მოკავშირეთ არ აღმოაჩნდათ რეალური ძალა თავისი მოთხოვნილებების გასანაღდებლათ და აი, ეხლა პარიზის კონფერენცია იძულებია იმ აზრისაკენ, რომ „რუმინიას მიეცეს უნგრეთის მანდატი“.

ეს დადგენილება, თუ კი ის ცხოვრებაში გატარდა, იქნება რუმინიის მიერ უნგრეთის დაპყრობის დადასტურება რაც განამტკიცებს ერთი მუჭა უნგრეთის გამცემ მემამულეთა პოზიციებს და გააძლიერებს არეულობას, როგორც ყოფილ ავსტრიის მიწა წყალზე, ისე მთელ ბალკანეთზე. ჩვენ არ გვგონია, რომ ასეთი შედეგი სასურველი იყოს მოკავშირეთათვის.

არა გვგონია მოკავშირეებს არ ესმოდეთ, რომ ადრე თუ გვიან უნგრეთის ხალხი დაბრუნებს თავის ბედს. უნგრეთ-ბალკანეთში მშვიდობიანობის ჩამოგდებას ხელს შეუწყობს მხოლოდ უნგრეთის ხალხის სამართლიან ძოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და არა რუმინია უნგრეთის მემამულეთა ბატონობა.

პრესა

„ნორა-აშხატავორი“ (№ 171) „ბავშვური ტიტანის“ სათაურით სწერს: „სოც. დემოკრატების ორგანო „ერთობას“ (№ 184) გადაუბეჭდია ჩვენს გაზეთში მისი მისამართით დაწერილი შენიშვნები არუთუნიანის მადლობის და ჯამალიანის მოღვაწეობის შესახებ“. მოჰყავს რა ჩვენი აზრი, განაგრძობს: „ერთობას“ გადაუბეჭდია ჩვენ გაზეთში დაშნაკელების მესამე რაიონულ კრების დამთავრების გამო მოთავსებული მეთაური წერილი“. აქ „ნორა-აშხატავორს“ მოჰყავს „ერთობის“ შენიშვნა—„ვნახოთ რა ფაქტები ექნება დაშნაკელებს სომეხთა შეიწროებისაო“ და დასძენს: „ფაქტებს ნახავთ, უკეთუ შნო გექნებათ მისი ნახვისაო“.

გამოდის, რომ დაშნაკცუტიუნს აქვს შნო ფაქტების ჩამოთვლისა, ჩვენ არ შეგვწევს ამის დანახვის უნარი.

რაში გამოიხატება დაშნაკცუტიუნის უნარი? სწეროს დაუსრულებლათ „ჩვენკელზადეს მუხანათობაზე“, ნოე ჟორდანიას უწოდონ ენვერ ფაშა, ნ. რამიშვილს—თალაათ ფაშა და ასე სომხის ხალხს ჩასჩიჩიროს—თქვენ საქართველოში გელტენ, როგორც ოსმალეთში ენვეი და თალაათი.

ეს არის ფაქტები?

დაშნაკცუტიუნის მესამე ყრილობის ანგარიშებში ჩვენ სხვა გვარი ფაქტები არ გვინახავს.

რაც შეეხება დაშნაკცუტიუნის მეორე ყრილობას, რომელიც ამა წლის აპრილში მოხდა, იქ ასეთი ფაქტებიც იყო მოყვანილი: ქუთაისის წარმომადგენელი ჰოგაკანიანი მოახსენებს ყრილობას იმ შევიწროვებაზე, რომელიც ქუთაისის სომხებს ჰქონდათ სომეხ-ქართველთა ომის დროს და შემდეგს ამბობს: „ნოემბრის 4-ს პირველათ გაჩნდა დაშნაკცუტიუნის ადგილობრივი კომიტეტი და მოითხოვეს პარტიის ბეჭედი. ამხანაგებმა კატეგორიული უარი უთხრეს ბეჭდის მიცემაზე და განაცხადეს, რომ ბეჭედს გააფუჭებენ და ხელწერილს მისცემენ, რომ მათთან ინახება ის“.

შემდეგ,—„როცა ქართველ-სომეხთა შეტაკების დროს გოლოვინის ფრონტიდან წამოიყვანეს მუშები, წაღების მწყემსდავები, ინტელიგენტები, ლტოლვილები და საქართველოს თავისუფალი სომეხი მოქალაქენი,—მათთან ერთად ციხეში ჩასვეს ქუთაისის ყველა ვაჟკაცები“..

„დაიწყო ჩხრეკათა ვაკხანალია; ჩხრეკდენ ყველა სახლებს, დღე-ღამეებით, საცა სომეხი იდგა, ჩხრეკდენ საყდრებს. ეძებდენ მკვდრებს და კუბოებს, ვითომ სომხებს თავიანთი ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და თოფები დაეძალოთ კუბოებში და საფლავებშიაც დაემარხოთ“.

ასეთი „ფაქტები“ მოვისმინეთ დაშნაკცუტიუნის მეორე ყრილობაზე აპრილში, როგორც ქუთაისიდან, ისე თელავიდან, სიღნაღიდან, გორიდან და სხვა ადგილებიდან.

დაშნაკცუტიუნმა ომი გამოგვიცხადა, თავს დაგვესხა, გოლოვინის პროსპექტზე ლამობდა ფრონტის შექმნას და როცა ამის წინააღმდეგ თავის დროზე ზომები იქნა მიღებული, ეს ემწვავათ დაშნაკელ ბუშმენებს. სად არის აქ სომხის ხალხის შევიწროება? პირიქით, ასეთი ზომების მიღებით ის დაცულ იქნა დაშნაკურ ავანტიურისაგან.

სომეხი მუშა საქართველოში ისევე განაგრძობს თავის დაზგასთან მუშაობას, როგორც ეს წინად იყო.

სომეხმა გლეხმა სოფლად ისე მიიღო მიწა, როგორც სხვა მისმა მეზობელმა გლეხმა.

ერთი აქ ის დაშნაკცუტიუნის სადარდელი. ეს ის, რომ სომეხ მემამულეებს, საქართველოს დემოკრატიამ ადგილ-მამული უფასოდ ჩამოართვა. ეს ვერ მოუნელებია „სოციალისტურ“ დაშნაკცუტიუნს.

ვერ შეურიგებია ივენი რესპუბლიკის გამცემ-მოღალატეთა წინააღმდეგ მიღებულ სასტიკ ზომებს.

მაგრამ, განა არ ვიცით ვის და რატომ მოჰყავს ჩვენი „გამამადგურებელი ფაქტები“ დაშნაკცუტიუნის პირით?!

დღეს

დენიკინის ფრონტზე საბჭოთა ჯარი უკან იხევს, კოლჩაკის ფრონტზე კი წინ მიიწევს.

ბულგარეთის დელეგაცია მოითხოვს დასავლეთი ფრაკიის ტერიტორიას და პროტესტს აცხადებს მოკავშირეთა მიერ მიღებულ სამხედრო ზომების წინააღმდეგ.

სილეზიაში სამოქალაქო ომია.

პოლონეთსა და რუმინიას შორის დაახლოვება ხდება ეროვნულის თავდაცვის მიზნით.

ფრანგული პრესის ცნობით ფინლანდიაში ახალი კაბინეტი შესდგა აგრარიებისა და პროგრესისტებისაგან.

უკანასკნელი ცნობები

ბაქო

გაზეთ „რუსკაია მისლ"ში მოთავსებულია შემდეგი განცხადება: „თერგ-დაღესტანი და ასტრახანის ჯარების მთავარ სარდლის შტაბის კონტრ-მზვერავი პუნქტი იწვევს ადერბეიჯანიდან და საქართველოდან ჩამოსულ პირთ, რომლებიც მატერიალურად დაზარალდნენ, ფიზიკური, ანუ ზნეობრივი შეურაცყოფა მიიღეს აღნიშნულ რესპუბლიკებში. ამის შესახებ შედგენილ იქნება ოქმები.

პეტროვსკის ლაზარეთებში დიდძალი დაჭრილები მოიყვანეს ასტრახანის ფრონტიდან.

ინგლისის სარდლობა მოლაპარაკებას აწარმოებს ადერბეიჯანის მთავრობასთან ბაქოს სახელმწიფო ბანკის გადაცემის შესახებ.

20 აგვისტოს ინგლისის სარდლობამ მიიწვია ფოსტა-ტელეგრაფის წარმომადგენლები ბრიტანიის რადიო-სადგურის გადასაცემათ.

ბაქოს ქალაქის გამგეობა სთხოვს ინგლისის ჯარების ბინის კომიტეტს მისცეს ქალაქს 490 ათასი მანეთი იმ ბინების შესაკეთებლათ, რომელიც ინგლისის ჯარებს ეჭირათ და დაზიანეს.

ადერბეიჯანმა ინგლისის სარდლობისაგან იყიდა 1500 ჯორი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 აგვისტო

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. აგვ. 21. **ლიონი.** აგვ. 20. მთელ ხილეზიას სამოქალაქო ომი მოედო. მოკავშირეები შეიძლება იძულებული გახდენ თავისი სამხედრო ძალებით დაიჭირონ ის, რათა უზრუნველჰყონ ნახშირის მიღების ნაწილი მაინც. **ლიონი,** აგვისტოს 20. საზავო კონფერენციის ალბანიის დელეგაციამ შეერთებული შტატების პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, რათა დაიცვან ისინი მეზობელ სახელმწიფოთა იმპერიალიზმისაგან. **ლიონი.** აგვ. 21. „დეილი-მეილის" ცნობით სოფიაში ჯარსა და რადიკალურ ელემენტებს შორის შეტაკება მოხდა. მანიფესტანტები მეფის სასახლეს მიუახლოვდენ და მეფე ბორისის გადადგომას მოითხოვდენ. **ლიონი,** აგვ. 21. ბულგარეთის დელეგაციამ ორი ნოტა წარადგინა. პირველი შეიცავს მოთხოვნილებას, მიეხეჭოს მას დასავლეთ ფრაკიის ტერიტორია, მეორეში პროტესტს აცხადებენ იმ სამხედრო ზომების წინააღმდეგ, რომელსაც საერთაშორისო სარდლობა ბულგარეთის საწინააღმდეგოდ მოითხოვს. **მოსკოვი,** აგვ. 21. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთ. ფრონტი. მურმანის მიმართ. მტერმა კოომისტაბსთან 2 სოფ. დაიჭირა. დასავლეთის ფრონტი. პსკოვის რაიონში მდ. ველიკაიას აღმოსავლეთით ჩვენ ოსტროვის-ჩრდილოეთით სოფლები დავიჭირეთ. პლოცკის მიმართ. გლუბოკოეს რაიონში ბრძოლაა. ბობრუისკის მიმართ. ჩვენ ბრძოლით სადგური ოსიპოვიჩი დავსტოვეთ. დენიკინის ფრონტზე ჩვენ ბრძოლის შემდეგ ლიხვინა და კოროჩა დავსტოვეთ. ვალუისკის მიმართ. ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებს. ბორისოგლების აღმოსავლეთით ბრძოლაა. კამიშინის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა სად. ლაპშინსკაიასთან 1000 ტყვე წამოიყვანა, მათ რიცხვში ასტრახანის პოლკი სრული შემადგენლობით. მტრის ორი პოლკი დავამარცხეთ. გავანადგურეთ აფიცერთა დივიზიონი. 400 თეთრი აფიცერი მოკლულია, 160 ტყვეთ წამოვიყვანეთ. კოლჩაკის ფრონტი. ქალ. ურალსკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი ზოგიერთ ადგილებში ურალის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა. ორენბურგის რაიონში აქტიუბინსკ-ორსკზე შეტევა გრძელდება. ვერხნეურალის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას აწარმოებს. ჩელიაბინსკის და კურგანის რაიონში ჩვენი ჯარი მთელ ფრონტზე ტობოლზე გადავიდა და სოფლები დაიკავა. **ლიონი** აგვ. 21. პოლონეთსა და რუმინიის შორის მეგობრული დაახლოვება ხდება ეროვნულ თავდაცვის მიზნით. **ლიონი.** 21 აგვისტო. ანტისემიტიზმის ტალღა მთელ ევროპას მოედო. პარიზში მოსული ცნობებით ებრაელთა მკვლელობა, რბევა და ღევნა ისეთს ქვეყნებში ხდება, სადაც ამდენ ხანს ადგილი არა ჰქონია: განსაკუთრებით გერმანიაში, მთავრობა იძულებულია ენერგიული ზომები მიიღოს ამ მოძრაობის ჩასაქრობათ. უნგრეთში ბელა კუნის ჩამოგდების შემდეგ ბუდაპეშტში ებრაელთა რბევა მოხდა.

ინგლისური პრესის ცნობები.

კიევიდან 100 მილის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით დენიკინმა აიღო რკინის გზის მნიშვნელოვანი კვანძი მდ. დნეპრზე ქ. ჩერკასი და ამნაირად, ოდესის მხრით მოსჭრა ბალშევიკების ხელში მყოფი რუსეთიდან მომავალი რკინის გზა. ეს მნიშვნელოვანი პუნქტი საბოლოოდ დაკარგეს ბალშევიკებმა და, თუმცა ჯერ არ მოსულა დადასტურებული ცნობა ოდესის დაცემის შესახებ, მაგრამ ეშვს გარეშეა, რომ ბალშევიკები შავ ზღვაზე უკანასკნელ დასაყრდნობ პუნქტს დაკარგავენ და, იქნება დაკარგეს კიდეც.

ინგლისის გემების დახმარებით პეტროგრადის წინააღმდეგ ეხლა დაწყებული შეტევა ბევრად ძლიერია, ვიდრე ოდესმე. ფინეთის ყურეში ინგლისის ნაღმოსნებმა ჩაღუპეს ბალშევიკების კრეისერი „პეტროპავლოვსკი", სამხედრო გემი „ანდრია პირველწოდებული" და გაანადგურეს კრონშტადტის წყალ ქვეშათა ბაზა, თვითონ უმნიშვნელოდ დაზარალდნენ.

ახლო მომავალში საბრძოლო რუსეთში დიდი ამბებია მოსალოდნელი. ამ ამბებს უდიდესი გავლენა ექნება ყველა საომხედრო ოპერაციებზე და ალბათ, მას მოყვება რუსეთში ბალშევიკების განადგურება.

მინსკისა და კოვნოს რაიონში პოლონელები შეტევას აწარმოებენ ბალშევიკების წინააღმდეგ, რასაც ადასტურებს ბუქარესტის მცოდნე წრეებიდან მიღებული ცნობები, რომ ბალშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედება დაიწყო.

რუმინელები ენერგიულად ემზადებიან მდ. დნესტრზე შეტევის დასაწყებად, რათა დენიკინს შეუერთდენ, რომლის მოწინავე რაზმები რუმინელთა მოწინავე რაზმებიდან 50 კილომეტრითაა დაშორებული. ამავე დროს პეტლიურას ახალი წარმომადგენელი მაციევსკი ცდილობდა რუმინიასთან შეთანხმებულიყო ბალშევიკების წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ.

ფრანგული პრესის ცნობები.

ბუქარესტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მეფე ფერდინანდის შვილმა კარლოსმა ისევ განაცხადა უარი ტახტის მემკვიდრეობის უფლებებზე.

ორშაბათს საღამოთი პარიზიდან აღმოსავლეთისკენ სწრაფი მატარებელი არ გასულა, რადგანაც ავსტრია ვერ დაპირებია, რომ თავის ტერიტორიაზე ქვა-ნახშირს მიაწვდის მატარებელს არ იციან, როდის გავა მატარებელი.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ფინეთის პრემიერმა ახალი კაბინეტი შეადგინა აგრარიებისა და პროგრესისტებისაგან. ამნაირად, ახალი მთავრობის შემადგენლობა რადიკალურ-ნაციონალისტურია.

ახალი ამბები

◆ **შრომის სამინისტრო** აცხადებს, რომ ის სავსებით მზარს უჭერს 31 აგვისტოს „პროლეტარული ფრონტის დღის" გამართვას და წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს მწარმოებლებისა, სავაჭრო სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებათა პატრონებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ პროფესიონალურ კავშირებს ამ დღის ღირსეულად ჩატარებაში.

◆ **დამფუძნებელ კრების** დამატებითი არჩევნები. დუშეთის მაზრის მთიან ადგილებში ამრჩეველთა რიცხვი იყო—7815. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო—4265, აქედან: № 1 მიიღო—1080 ხმა, № 2—59, № 3—5, № 5—117, № 8—1, № 9—2, № 11—1.

◆ **სომეხ-თათართა შეტაკება.** ერევნიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის პოლკოვნიკ ბლადუნის თათრებთან მოლაპარაკებამ, რომ უთანხმოება მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო, უნაყოფოთ ჩაიარა. ნახიჩევანის გზა ხელახლა დაიკავეს თათრებმა.

◆ **საფრანგეთის სამეცნიერო კომისია.** საფრანგეთი მთავრობას განუზრახავს ამიერკავკასიაში სამეცნიერო კომისია გამოგზავნოს ამიერ კავკასიის ერთა ისტორიულ დოკუმენტების შესასწავლათ. კომისია პარიზიდან უკვე გამოსულა.

◆ **იტალიის მევენახეთა წარმომადგენელნი** კახეთში გაემგზავრნენ ადგილობრივი მევენახეობის გასაცნობათ.

◆ **სტამბის დახურვა.** მუგდუსი აკოფოვის სტამბაში საგანგებო რაზმმა აღმოაჩინა ბუნტი ბალშევიკური ლიტერატურა ადგილობრივ ენაზე, სტამბა დახურეს, პატრონი შეიპყრეს.

◆ **ბრიტანეთის კონსული** დეპეშით ატყობინებს სომხეთის დიპლომატიურ მისსიას, რომ ჯულფის ხიდზე რკინის გზის ლიანდაგი აღდგენილია.

ქრონიკა.

კვირას, 24 აგვისტოს, დილის 10 ს. მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ., № 65) დანიშნულია გამოჩინებელის საზოგადოების თფილისში მცხოვრებ მოქალაქეთა საერთო კრება.

— კვირას, 24 აგვისტოს დილის, 10 ს. ზუბალოვის სახალხო სახლში შესდგება საქართველოს სოც.-დემ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება.

— ხვალ, დილის 9 ს. მუსულმანთა აუდიტორიაში დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია მეშვიდე რაიონის არაჩვეულებრივი კრება.

— კვირას, 24 აგვისტოს დილის 9 ს. ქალაქის გამგეობის შენობაში შესდგება კრება თფილისის თვითმართველობის მოსამსახურეთა დელეგატებისა.

პროვინციის ქრონიკა.

ბაშურში, კვირას ამხ. დ. თურდოსპირელი წაიკითხავს ლექციას „პროლეტარულ კულტურაზე.

კიდევ პროვოკაციის შესახებ

თუმცა მსოფლიო ომი გათავდა, მაგრამ მშვიდობიანობა ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილა. კაცობრიობის უმეტესი ნაწილი ღელავს. დიდი სახელმწიფოების ცხოვრებაც საქანელას წარმოადგენს. ეს ღელვა და ქანაობა ბუნებრივია: ცხოვრება რაკი ერთხელ თავის ნორმალური კალაპოტიდან ამოვარდა ასე მალე ვერ დაწყნარდება.

საერთაშორისო მდგომარეობის გაურკვევლობის და ცხოვრების თავისი ნორმალური კალაპოტიდან ამოვარდნის გავლენას მეტისმეტად მწვავედ განიცდის ჩვენი რესპუბლიკა. ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს პატარა ნავს, რომელიც მიბმულია დიდ გემზე და მშფოთვარე ოკეანეში დასცურავს. როგორც ამ პატარა ნავის ბედი დამოკიდებულია დიდი გემის ბედისაგან, ისე საქართველოს ბედი დამოკიდებულია საერთაშორისო მდგომარეობისაგან. ამიტომაც არის რომ საერთაშორისო მდგომარეობის გაურკვევლობას, არანორმალობას დიდი უშედეგო გავლენა აქვს საქართველოს შინაურ მდგომარეობაზე. რასაკვირველია, ასეთ პირობებში თითეული მოქალაქე დაინტერესებულია როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს მდგომარეობით, იქმნება ერთგვარი ნერვიული მდგომარეობა და ყოველგვარ ცნობას დიდის ინტერესით და ხალისით ეტანება.

საერთო ნერვიულობით კარგათ სარგებლობენ რევოლიუციის და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები და ათასგვარ ჭორებს, პროვოკაციის ავრცელებენ საქართველოს საგარეო მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით ამ მომენტით სარგებლობენ დენიკინის მალული აგენტები და ბალშევიკები. ამას წინეთ თფილისში ქუჩურმა გაზეთმა „ნოვი დენმა" მოჰყორა, ვითომ საქართველოს რესპუბლიკა უფსკრულის პირს იყოს, დენიკინი მოდიოდეს და ვითომ საქართველოს მთავრობას და ინგლისს შორის ერთგვარი შეთანხმება მომხდარიყოს პროტექტორატის მიღების გარშემო და სხ. რამოდენიმე დღის წინათ ქუჩაში დიდი სენსაციური ხმები დადიოდა: ვითომ ბაქო დენიკინის ხელში გადასულიყოს, საქართველოს მთავრობას და დენიკინს შორის მომხდარიყოს შეთანხმება ბალშევიკების წინააღმდეგ და სხ. როგორც სოფლებიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, არც იქ სძინავთ თურმე ჩვენს მტრებს და საშინელ პროვოკაციას აწარმოებენ. ამას წინათ სამეგრელოს ზოგიერთ კუთხეებში ხმები დაუყრიათ, თფილისის დენიკინის მიერ აღების, მთავრობის ჩამოგდების შესახებ და სხვ.

ყველა ამ ხმებს, და ცნობებს, როგორც ჩვენ ამას წინათ ავღნიშნავდით, მხოლოდ ერთი გარკვეული კონტრ-რევოლიუციონური მიზანი აქვს: ავტორებს სურთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არევ-დარევა გამოიწვიონ, პანიკა გაამეფონ და მით ხელი შეუწყონ ჩრდილოეთის რეაქციას თავისი შავი საქმეების კეთებაში.

რაც შეეხება ბალშევიკებს, მათთვის ერთად ერთი სანუკვარი საქმე ეს ხომ ჩვენში წყლის ამღვრევა და ჩვენი ასე თუ ისე მოწესრიგებული მოქალაქეობრივი ცხოვრების მოშლაა. ოღონდ მენშევიკური მთავრობა ნუ იქნება საქართველოში და ისინი თვით ძველებურ მეფეს, მონარქსაც შეურიგდებიან. ამას წინეთ რუსეთიდან ჩამოსულმა პროფ. სიმონ ავალიანმა თავის მოხსენებაში სთქვა, რომ რუსეთელ ბალშევიკებს ურჩევნიათ საქართველოში მონარქიული წეს წყობილება იყოს, ვინემ დღევანდელი დემოკრატიულიო. ასეთი ხალხისაგან ხომ ყველაფერი მოსალოდნელია! ეს კარგათ უნდა ახსოვდეს თითეულ მოქალაქეს და არ უნდა აყვეს ჩვენი მტრების მოარშიყეთ ჭორებს, არ უნდა წამოეგოს მათ მერე წამოსროლილ ანკესზე, ყველა შეგნებული ქართველის მოვალეობაა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ყოველგვარ ასეთ პროვოკაციას და ხმებს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ჩვენი მდგომარეობა ყოველ მხრივათ დაზღვეული და უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ხმები და ჭორები, როგორც ამას წინათ ვაცხადებდით, სრულიად უსაფუძვლოა და უნიადაგო. საქართველოს მდგომარეობა ამ უკანასკნელ ერთ თვეში საგრძნობლათ არ შეცვლილა.

მაშ, სასტიკი ბრძოლა ყოველ გვარ პროვოკაციასთან.

სასტიკი ბრძოლა დენიკინის ფარულ და აშკარა აგენტებთან!

მოქალაქენო, გახსოვდეთ, რომ დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც არ სწამს და არც აწარმოებს საიდუმლო დიპლომატიას, ყოველთვის თავის დროზე მოგაწვდით ყოველგვარ ცნობებს საქართველოს კარგ თუ ცუდ მდგომარეობის შესახებ.

სიმშვიდე, სიდინჯე და ყველა მოვლენების ობიექტიურად დაფასება—აი რას მოითხოვს თვითეულ მოქალაქისაგან დღევანდელი მომენტი...

ა.კ. ს.

ქალაქის საგზო

4 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე აუწყებს საბჭოს ყოფილ მედიკო-სანიტარული ინსპექტორის სტეფანოვის გარდაცვალებას. საბჭომ დაადგინა გამოუცხადოს განსვენებულის ოჯახობას სამძიმარი და ერთ ერთ ამბულატორიას უწოდოს სტეფანოვის სახელი.

ეპიდემიის შესახებ მოხსენებას აკეთებს შ. მიქელაძე. ამ ზაფხულში ხოლერით ავათ გამხდარა მხოლოდ 6 კაცი, რომელთაგან 3 მორჩენილა და 3 გარდაცვლილა. რაც შეეხება ტიფს, ის თანდათან კლებულობს.

ბ. ჩხიკვიშვილი აკეთებს მოხსენებას მილიციონერთა მოთხოვნის შესახებ. მოთხოვნა შემდეგში მდგომარეობს: გაუდიდდეს მათ ჯამაგირები და გაუქმებულ იქნას მილიციის უფროსის განკარგულება, რომლითაც დათხოვნილ იქნა ორი მილიციონერი; პასუხს მოითხოვენ სამი დღის ვადაში და აღნიშნავენ, რომ თუ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნა, გაიფიცებიან. ქალაქის მოურავი, გამგეობის სახელით აცხადებს, რომ გამგეობამ დააკმაყოფილა მილიციონერთა მოთხოვნა ივლისში ჯამაგირების მომატებით, ეხლა ის შეუდგა მათთვის საექიმო საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენებას. მილიციელები ახლა ღებულობენ საექიმო დახმარებას ქალაქის სხვა მოსამსახურეებთან ერთად. ასე რომ მათი მოთხოვნიდან დარჩა მხოლოდ ორი მილიციონერის დათხოვნის გაუქმება, რაც გამგეობის აზრით ყოვლად შეუძლებელია. მილიციონერთა მოთხოვნა მარტივათ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: თუ ამ დათხოვნილ მილიციელებს არ მიიღებთ, ჩვენ გავიფიცებითო. მილიციელთა დათხოვნა-მიღებაზე ჩვენ ვერ შევეკითხებით მილიციელთა პროფესიონალურ კავშირს, ეს უფლება ენიჭება მილიციის უფროსს, რომელიც თავის მოქმედებაში პასუხისმგებელია ქალაქის გამგეობის წინაშე. ამ დათხოვნილ მილიციელთათვის, როგორც უმწეო მდგომარეობაში მყოფთათვის, შეიძლებოდა სალიკვიდაციო ფულის მიცემა, როგორც გამონაკლისი, მაგრამ იმ ულტიმატუმს, რომელიც წარმოადგინეს მათ, შეუძლებელია ჰქონდეს ადგილი. მე გამგეობის სახელით, თუ თქვენი დასტურიც იქნება, ბრძანებას ივსცემ მილიციის უფროსს, რომ მომავალში ასეთი ულტიმატუმისათვის სასტიკათ დასჯილ იქნან მისი ავტორნი. მილიციას, როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, არ შეუძლია გაფიცვა მოახდინოს. ვისაც არ ჰსურს ამ დარგში სამსახური, შეუძლია განაცხადოს უარი და ჩვენ მას შევსცვლით.

პ. კახიანი. წესრიგის დაცვა ქალაქში უდიდეს საქმეთ უნდა ჩაითვალოს. ამას ჩვენი მილიცია მშვენივრათ ასრულებს, რაც არის იმ დისციპლინის შედეგი, რომელიც მილიციაში სუფევს. ამიტომ ს. დ. ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს ქალაქის მოურავის განცხადებას.

ს. დადიანი. (ს. ფ.) არ ვიზიარებ ქალაქის მოურავის აზრს იმის შესახებ, რომ მილიციას, როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, არ აქვს უფლება მოახდინოს გაფიცვა. როდესაც პროფესიონალური კავშირები არ იქნებიან, მაშინ შეიძლება ასე ლაპარაკი. რომ დღეს დღეობით ასეთი გაფიცვის მოხდენა არ შეიძლება, იმ მდგომარეობის გამო, რომელშიდაც ჩვენ ვიმყოფებით, ეს თავის თავად ცხადია, მაგრამ მე ვლაპარაკობ გაფიცვაზე საერთოდ.

ბ. ჩხიკვიშვილი. ხმოსან დადიანის განცხადება არ არის საბუთიანი, არც სამართლიანი. მე არ შევუდგები ჩვენი აზრის გადმოცემას პროფესიონალურ კავშირის უფლე-

ბებზე, ვინაიდან ეს ყველასათვის ცნობილ ა. ჩვენ არ შეგვიძლია მილიციონერთა პროფესიონალურ კავშირს მივანიჭოთ ის ფუნქციები, როგორიც აქვს საერთოდ პროფესიონალურ კავშირებს. მილიცია წააგავს ჯარს. თუ დისციპლინა არ იქნა მილიციაში, ის დაემსგავსება „ბანდას“, რომელიც ვერავითარ წესრიგს ვერ დაიცავს ქალაქში. თქვენ ამ ბოლო ხანებში, პარტიული თუ სხვა მოსაზრებით, იკისრეთ გაფიცულების დაცვა, მაგრამ მაინც ვერაფერს აკეთებთ.

მიღებულ იქნა გამგეობის წინადადება, რომ ასეთ ულტიმატიურ მოთხოვნილების წამოყენებას ადგილი არ ექნეს მომავალში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გამოსვლა სასტიკათ დაისჯოს.

თავმჯდომარე აცნობს სხდომას კოოპერატივთა წარმომადგენლების შუამდგომლობის შესახებ კოოპერატივთა სანიტარულ გადასახადისაგან განთავისუფლებისა. ამ საკითხზე საბჭოში გამოითქვა ორი აზრი. ერთი: ვინაიდან ყველა იხდის სანიტარულ გადასახადს, ვინც კი ღებულობს ათას მანეთზე მეტს, კოოპერატივებმაც უნდა გადაიხადონ. სანიტარული გადასახადის სახით აკრეფილი ფული მიზნათ ისახავს დიდ მნიშვნელოვან საზოგადო საქმეს და კოოპერატივი, როგორც საზოგადო დაწესებულება, ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში.

მეორე მიმდინარეობა, ამ საკითხის შესახებ, მოითხოვს კოოპერატივების სანიტარულ გადასახადისაგან განთავისუფლებას იმ მოსაზრებით, რომ კოოპერატივებს ყოველთვის უნდა ეძლეოდეს როგორც სახელმწიფოს, ისე ქალაქის თვითმართველობისაგან დახმარება.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა წინადადება, რომლითაც უარყოფილ იქნა კოოპერატივთა წარმომადგენლების შუამდგომლობა და დარჩა ძალაში საბჭოს ძველი დადგენილება კოოპერატივებზე სანიტარულ გადასახადების გაწერის შესახებ.

ქალაქის ახალი წყალსადენის გაყვანის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ი. ბესელიძე**. ის აღნიშნავს რა ამ საკითხის გარშემო ქალაქის გამგეობის მუშაობის ისტორიას 1891 წლიდან, საბჭოს ყურადღებას მიაქცევს წალკის, ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროებზე. უნდა მოხდეს საჭირო გამოკვლევა, თუ რომელ ამ დასახელებულ წყაროებიდან იქნება წყალის გამოყვანა უფრო სასარგებლო ქალაქისთვის, გამოკვლევისთვის საბჭომ უნდა გადასდოს 700 ათასი მანეთი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: გამოკვლეულ იქნას როგორც ნატახტარის, ისე ბულაჩაურის წყაროები, მიექცეს აგრეთვე ყურადღება ჟინვალის წყაროს, გადაიდოს 700 ათასი მანეთი გამოკვლევისთვის.

ვაჭარ—ხელოსანთა შუამდგომლობა მათთვის სანიტარული გადასახადის შემცირების შესახებ უარყოფილ იქნა.

მიღებულ იქნა მოხსენება 6 ათასი მანეთის გადადებისა ეგნატე ნინოშვილის ბიუსტის შესაძენათ სახალხო სახლისთვის და გამოითქვა სურვილი, რომ გამგეობამ ასეთი ძეგლები რაც შეიძლება მეტი გააშენოს ქუჩებში.

ბინების რეკვიზიციის წესების შეცვლის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბ. ჩხიკვიშვილი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: სათანადო კანონის დამფუძნებელ კრების მიერ გამომუშავებამდე გამგეობამ იმოქმედოს იმ კანონიერ ფარგლებში, როგორიც დღემდე მოქმედებდა და დაევალოს მას ამ საკითხის შესახებ შემუშავებული მასალა გადასცეს სახელმძღვანელოთ დამფუძნებელ კრებას.

მზარეულოვის განცხადება სახლის პატრონთა სახელით, რომ გაუქმდეს მეეზოვეთა ინსტიტუტი და ეს მოვალეობა სახლის პატრონებზე გადავიდეს, უარყოფილ იქნა. ქალაქის გამგეობას ევალება შეიმუშაოს მეეზოვეთა და ბინის საკითხი და მომავალში გააცნოს თავისი აზრი საბჭოს.

ხევსურეთში

II

საქართველოს არც ერთი მხარე არაა ისე ძნელად მისავალი, როგორც ხევსურეთი. სულ რამდენიმე თვით გაიხსნება ხოლმე გზები, თორემ დანარჩენ დროს თოვლისგან მთლად მოწყვეტილი რჩება. ზამთარს ვინ ჩივის, ნეტა ზაფხულში მაინც ყოფილიყო მიმოსვლა გაადვილებული. თუ ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებს საურმე გზები მაინც მოეპოვებათ—აქ საცალფეხო ბილიკიც ფრიად სანატრელია. რის ვაი-ვაგლახით გაჰკვერენ ხოლმე მთის კალთაზე ბილიკს, მაგრამ ფეთიანივით მოაწყდება წყალ-ნიაღვარი და მთლად ჩამოჰრეცხს. ამიტომაცაა, რომ ოცობოდიას მოხგონებს კაცის მგზავრობა მთაში. კიდევ კარგია ცხენჯორები შეჩვეულნი არიან ამ კლდე-ღრეებში სიარულს, თორემ—მტრის კარს—ჯოჯოხეთად გარდიქმნებოდა იქ ყოფნა და სიარული. ესეც კია, რომ ბევრი ადგილი არც კი განსხვავდება ჯოჯოხეთისგან. არაგვზე გადებული ხიდები არაფრით ჩამოუვარდება „ბეწვის ხიდსა“. სახელდახელოთ ახუხულავებულ ხიდზე შესდგავ ფეხს თუ არა—ისეთს ცახცახსა და კანკალს მორთავს ხიდი, თითქოს რაც ქვეყნად ნეკრეს ფილენჯის ჭარები და ციებ-ცხელებაა სულ მათ შეჰბეღდროდეს და ის აცახცახებდეს. სული კბილით უნდა გეჭიროს, თორემ თუ ოდნავ დასხლტა რომელიმე ხე,—დანარჩენი თავ-პირის მტვრევით ერთმანეთს გადაყვებიან და ვეღარ გიშველის ვერც ლაშარის წმინდა გიორგი და ვერც ლომისა.

არამც თუ ხევსურეთი, დანარჩენი ჩვენი განაპირა ქვეყნებიც მოწყვეტილია ცენტრს. ისე გადის თვეები, რომ არც არას იქ გაიგებენ ხოლმე ჩვენებიც და არც არას ჩვენ ვტყობილობთ მათსას. კაცს ეგონება ყველა ისინი კამეჩის რქაში არიან გამომწყვდეულნიო—ისე არიან გამოყრუებულნი და გაოგნებულნი. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ყველამ გაიგო, დღეს ყველამ იცის, რომ საქართველოს დემოკრატიის ძლევამოსილ ბრძოლამ შესძლოო თავისუფლების შენახვა და განმტკიცება. ფშაველი ხომ მთლად მოწყვეტილია ჩვენს ქვეყანას, მაგრამ იქაც კი იციან, რომ აქ საქართველოს დემოკრატია სჭედს ჩვენს მომავალს ბედნიერებას და ძველი დახავსებული თვითმპყრობელობის ნანგრევებზე აშენებს უბადლო რესპუბლიკას. სწორეთ ამით აიხსნება, რომ შეველით თუ არა ფშავში—მაშინვე მოგვესალმნენ;

„საქართველოის მოძმენო,
თქვენთან პატივი გვაქვისა,
ხმლით და კალმის წვრით გამწყვეტნო
იმ ამირანის ჯაჭვისა,
რომელიც თქვენგნით დახსნილი
აწ თავისუფლად დადისა“...

სამწუხაროდ ეს არ ითქმის ხევსურების უმრავლესობაზე. რამდენიმე ადგილას გავიგონე საკუთარის ყურით: ჩვენ არ ვიცით მთავრობა არის თუ არა, ერთი მარტო შალვა ქარუმიძე გამოგვიჩნდა მხსნელად და მას ვანაცვალებთ თავსაო. ხევსურეთში ყველგან არ შევგხვედრიან აღტაცებით, პირ-იქით ზოგს ეუცხოვა ჩვენი ასვლა. ეშვით შეჰხედეს ჩვენს სურვილს: გაგვეგო მათი ჰირ-ვარამი, რომ შემდეგ დავხმარებოდით. დღემდე უყურადღებოთ ვიყავით დატოვებულნი, თუმცა ქისტებს აკლებული ვყევართ და რადა ეხლა მოუნდათ ჩვენი ნახვაო.

ერთმა ხევსურმა ასეთი ლექსიც კი „შემოგვაწია“:

„ჩვენა გვაქვს გულის საბეთქი
აქედან აქაველებსაო,
თქვენ აბა რა გენაღვლებათ
საიდან სადაველებსაო.“

თქვენ ეს რათ გინდათ, ხახაშოში თურმე სულაც არა სცნობდნენ ჩვენს მთავრობას. როცა იქ ავიდა დამფ. კრების წევრი ნ. ქუმსიაშვილი,—უთხრეს: ჩვენ მთავრობამ რა გაგვიკეთა, როდის მოგვხედა რომ ვნცოთო. ქუმსიაშვილმა დაწვრილებით გააცნო ჩვენი მდგომარეობა და კატეგორიულად მოსთხოვა პასუხი, თუ ვისკენ იხრებოდნენ;—მათ ითათბირეს და მხოლოდ შემდეგ დათანხმდნენ, ვცნობთ, როგორ არა ვცნობთ, ჩვენ ბნელი ხალხი ვართ, შეგნება და მოხედვა გვესაჭიროება, ნუ მიგვატოვებთ მტრის (ქისტების) ამარათ, მოგვიარეთ და გვიპატრონეთო.

მართლაც და ძალიან შეწუხებული არიან ქისტებისაგან ჩვენი მთის ხალხი. ფშავ თუშ-ხევსურეთის მოსაზღვრეთ სცხოვრობენ მთიელთა ქისტები, რომელთა შემოსავლის მთავარ წყაროს თავ-დასხმა და ცხვარ-საქონლის გატაცება შეადგენს. გაიფხულდება თუ არა, იგინი მაშუკი მგლებივით ესევიან ჩვენს საზღვრებს და აჩანაგებენ ხალხსა. მკითხველს ეხსომება, რომ გასულ გაზაფხულს თუშებს აუარებელი ცხვარი წაართვეს და დღეს ასეთი ხელ-ახალი უბედურების ასაცილებლად შემდგარია საგანგებო სანაპირო რაზმი, რომელიც იცავს თუშების საზღვრებს.

აღსანიშნია ერთი გარემოება. მაშინ, როდესაც საშინლათ გამწვავებულია ურთიერთობა თუშ-ფშავ-ხევსურებსა და ქისტებს შორის, პირ-იქითა ხევსურები, განსაკუთრებით შატალის საზოგადოებისანი კარგ განწყობილებაში არიან ქისტებთან. ერთმანეთს არასა სტაცებენ და არც სისხლი ყოფილა მათ შორის დაღვრილი. როცა ქისტები პირ-აქეთ ხევსურებს, ფშავებს და თუშებს დაესხმიან ხოლმე—ქისტები ხევსურების მიწა-წყალზე გადაატარებენ ხოლმე და ხშირად უნაწილებენ კიდეც ნადავლსა. ეს ძალიან აღელვებს ფშავ-თუშ-ხევსურებს და პირ-იქით ხევსურებს მტრულად უყურებს, არაფრით არ განირჩევიან ქისტებისაგან ეგ ვერანებიო.

ამას ყურადღება მიაქცია დამფ. კრების წევრმა გ. ცისკარიშვილმა და გამოიძია მიზეზი შატალის ხევსურების ასეთი განწყობილებისა თურმე არც ეს ხევსურები ყოფილან ქისტების მადლიერნი, მაგრამ იძულებული ყოფილან ნაძალადევი მეგობრობა დაეჩიროთ. ჩვენ რომ ვეურჩოთ და ქისტების ნადავლი არ გავატაროთ—თავს დავიღუპავთო. მართალია ზაფხულში მოგვეხმარებიან თუშ ფშავ-ხევსურნი, მაგრამ ზამთარში თოვლი გზებს შეჰკრავს, მთლად მოგვწყვეტს იმათა, დავრჩებით მარტონი ქისტების მეზობლად დასინჯილას გაგვიწყვეტენ ერთ მუჭა ხალხსაო. გაინა ჩვენ კი გვიხარიან რომ ასე აუბედურებენ ჩვენსავ ძმებსა, არც ის მოგვწონს, რომ მოღალატეების სახელითა ვართ მონათლულნი, მაგრამ რა ვქნათ, რა წყალში ჩავცვივდეთო. მათ უთხოვნიათ ცისკარიშვილისთვის იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ხევსურეთშიაც ისეთი სანაპირო რაზმი ჩააყენონ, როგორც თუშეთის საზღვრებზე. ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცებსა და აფიცერს რომ დაინახავენ ქისტები, ვეღარ გადმოჰბედავენ და ჩვენც ავიცილებთ უნებლიეთ ცოდვასო.

როდესაც უყურებდი კავკასიის მთის კოპწია მთებსა და წერწეტა კონცხებს, რომელთაც ხელი-ხელში გაეყარათ და ამომავალ მზის წინაშე ერთგულებას ეფიცებოდნენ, მე ოცნებას ვეძლეოდი და ვცდილობდი მერწმუნა, რომ ამ მთებში მობინადრე ხალხიც, თუმცა სხვადასხვა სახელმწიფოს მკვიდრნი, ამ მთებსავით დაძმობილდებოდნენ და ხელი-ხელს გადაბავდნენ საერთო შავი მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ტკბილ ფიქრებიდან გამომიყვანეს ხევსურებმა: აი იმ მთის ყელიდან იციან ხოლმე იმ ძაღლებმა (ქისტები) გადმოპარვაო. ახლაც ხმა გავრცელებულია, რომ ქისტები დაცემას აპირობენო და შიშით მოელიან მათ. საუკუნოებით მოსაზღვრეთ სცხოვრობენ და ვერ იქნა ვერ დაიმეგობრეს ქისტები, ვერ მოაშლევინეს ტაცობა. აი ეხლაც დენიკინის ჯარები გროზნაში დათარეშობენ და თანდათან უახლოვდებიან, უმწარებენ ქისტებს სიცოცხლეს და ვგონებ მალე გადაჰყლაპოს კიდეც და ესენი ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთან იქონიონ მეგობრული ურთიერთობა, მაინც გვეშპობენ და გვიშლიან ხელსა.

აი ესაა მიზეზი, რომ ზოგნი გულგატეხილნი არიან და არა სჯერათ-რა ჩვენი ძალისა და შესაძლებლობისა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ხევსურნი არ არიან ასეთი შეხედულებისა. იყო ისეთი სოფლები, საცა ფრიად ნასიამოვნები დარჩნენ ჩვენი ასვლით და ბევრი დავალებითაც დაგვტვირთეს.

დ. თურდოსპირელი.

მუშათა შორის

თფილისი. 6 აგვისტოს შესდგა ამხ. პავლე ცხვედაძის თავმჯდომარეობით მეექვსე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის მკერვალების საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო: 1) რამდენათ კანონიერი იყო მკერვალთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის არჩევნები 24 ივლისს; 2) გაზეთი გამოცემული კავშირის სახელით „მუშათა გზა“ რამდენათ ემსახურება კავშირს. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კოპალეიშვილმა. აღნიშნა კომუნისტების მოქმედება მკერვალთა კავშირში. ეს იყო არა ნორმალური მდგომარეობა. ბალშევიკებს უნდოდათ მარტოკა თავიანთი თანამოაზრეები კავკავიდან გამოქცეულები გაეყვანათ გამგეობაში და კავშირის სახელით ეწარმოებინათ პარტიული პოლიტიკა. ასეც მოხდა. 67 ხმით 40 ხმას უფლება არ მისცეს გაეყვანათ თავიანთი წარმომადგენელი გამგეობაში; გავიდნენ მარტოკა კომუნისტები. კავშირის საქმეების გაკეთების მაგივრათ მთავრობის წინააღმდეგ პროტესტები გამოაქვთ და მეტი არაფერი.

მიღებულ იქნა ერთხმათ ამხ. ცხვედაძის წინადადება: „მოისმინა რა ამხ. კოპალეიშვილის მოხსენება მეექვსე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის მკერვალებმა, რიცხვით 60 კაცამდე, დაადგინა: 1) მოქმედება ამ ვაჟბატონებისა კავშირებში სრულებით არ ემსახურება მუშების პროფესიულ კავშირში შეკავშირებას და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მათი პოლიტიკაა მხოლოდ პარტიული, რომელიც ძირს უთხრის და ფესვებს უცვლის კავშირის დანიშნულებას. რაც გამოიწვევს კავშირში დიდს განხეთქილებას და კავშირის დაუძლურებას; 2) ვიღებთ რა მხედველობაში უწესოთ არჩეული გამგეობის უპასუხისმგებლო პოლიტიკას, ჩვენ კავშირის წევრები 60 კაცამდე, არ ვართ პასუხისმგებელი მათ პოლიტიკაში და მოვითხოვთ გამგეობისაგან აუცილებლათ მოწვეული იყოს საზოგადო კრება და გადარჩეულ იქნას გამგეობა.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ცხვედაძე. მოკლეთ აღნიშნავს სხვადასხვა შენიშვნებს კავშირის სახელით გამოცემული „მუშათა გზას“. აღნიშნა, რომ გაზეთს არავითარი სწორთო არა აქვს კავშირთან. საეჭვო ფულით გამოცემულ კავშირის „ვიევსკის“ ქვეშ ამოფარებული კომუნისტური გაზეთია. შიგ მხოლოდ უსინდისო ლანძღვა-გინებაა და მეტი არაფერი.

მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა ერთხმათ ამხ. ცხვედაძის წინადადება: „მოვისმინეთ რა ამხ. ცხვედაძის მოხსენება, მეექვსე რაიონულ სახალხო გვარდიის შტაბის მკერვალები ვადგენთ: 1) კატეგორიულ პროტესტს ვუცხადებთ კავშირის გამგეობას კავშირის სახელით პარტიული გაზეთის გამოცემისათვის და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეჩერებული იქნეს კავშირის სახელით სადემაგოგიო გაზეთის გამოცემა“.

X.

ს.-დ. პარტიაში

რკინის გზის სამმართველო. 20 აგვისტოს შესდგა რკინის გზის სამმართველოს ს.-დემ. პარტიის წევრთა კოლექტივის კრება ამხ. ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით. გამოირკვა, რომ ამ ბოლო ხანს პროვოკატორები და რეაქციის მოტრფიალენი ამუშავდენ და აგრცელებენ სხვადასხვა შეუსაბამო და უნიადაგო ხმებს, რათა შექმნან ხალხში პანიკა და ხელი შეუშალონ რესპუბლიკანურ მშენებლობითი მუშაობას და ასე გაუადვილონ მოხალისეებს შემოსევა. კოლექტივი, ეყრდნობა რა უტყუარ ცნობებს, საყოველთაოდ აცხადებს, რომ უკანასკნელ ხანაში გავრცელებული ხმები ყოვლად უსაფუძვლოა და წინადადებას აძლევს ყველა „იაჩეიკებს“ და პარტიის წევრებს და სთხოვს ყველა შეგნებულ მოქალაქეს, რათა ენერგიულად ებრძოლონ ასეთ მოვლენებს და ძირშივე ჩაჰკლან პროვოკაციული მოქმედებები.

სხდომამ მოისმინა ამხ. ლ. ასათიანის მოხსენება თფილისის კომიტეტიდან და მიიღო ცნობათ და სახელმძღვანელოთ.

სხდომამ დაადგინა წინადადება მიიცეს პარტიის წევრებს პარტიული გადასახადის შემოტანის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტიული „იაჩეიკების“ მუშაობა შეძლების დაგვარად სწარმოებს.

მოსმენილ იქნა განცხადება, რომ თითქო სამმართველოს კოლექტივში ადგილი ჰქონოდეს ინტრიგას. კოლექტივის სხდომამ ერთხმად ცნიარა, რომ არავითარ ინტრიგას სამმართველოს კოლექტივში ადგილი არ ჰქონია და იმედია არც შემდეგში ექნება და ამნაირად, ის უსახელო საჩივარი, რომელიც მეორე რაიონში შესულა, სრულიად უსაფუძვლოა.

დაბოლოს კრებამ გამოიმუშავა მეორე კოლექტივში ასარჩევი წევრების სია შვიდი კაცისაგან შემდგარი.

საქარელი მ.

პროვინცია

ბახმარო. 3 აგვისტოს აგარაკ ბახმაროზე მოწყობილ იქნა ფრონტის დღე. საღამოს 5 საათზე მოწვეული იყო მოაგარაკეთა ფართო მიტინგი. თეატრის დარბაზში საღამოს 9 საათიდან გაიმართა სალიტერატურო საღამო კონცერტულ განყოფილებით. 6 ნახ. საათზე ფრონტის დღის მომწყობ კომისიის სახელით მიტინგს გაბსნილათ აცხადებს კომისიის თავმჯდომარე ილ. გოგელია. პირველ რიგში ფრონტის დღის მნიშვნელობაზე, რესპუბლიკის ახალგაზრდა ჯარზე და გვარდიაზე მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი რ. არსენიძე. ფრონტის დღე ბრძოლის დღეა, ბრძოლა კი სისხლის ღვრის მაჩვენებელია. ომი მრავალ მხრივი არის. არის ომი დაპყრობითი, რომლის მიზანია სხვისი ტერიტორიის დაპყრობა დაპატრონება და არის ომი, რომლის მიზანია დაცვა თავისი ხალხის, თავისი ერის, თავის არსებობის. უდავო ჭეშმარიტება არის: თუ მტაცებელი თავს გესხმის, შენ თავი უნდა დაიცვა. ამ რიგათ საქართველოს რესპუბლიკის წლინახევრის ომს მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი აქვს. და ეს ჭეშმარიტება საკმაოთ შეგნებული აქვს რესპუბლიკის ახალგაზრდა ჯარს და ჩვენს სახელოვან სახალხო გვარდიას. შემდეგ მომხსენებელი ასახელებს ჩვენი ფრონტის გაჩენის მიზეზს. მარტივათ ხსნის, თუ რა განსხვავებაა ჩვენს და იმპერიალისტურ ქვეყნების ომებს შორის. ვრცლათ ლაპარაკობს ჩვენი მთავრობის პოლიტიკაზე და ამბობს, სანამ რევოლიუცია არ მისულა ლოღიკურ დასკვნამდე, სანამ რეაქციის შავი აჩრდილი კავკასიონის ქედს მოსწოლია და ჩვენსკენ

მოიმართება, სანამ ამ ორ მოწინააღმდეგე ძალებს შორის ომი არ დამთავრებულა, მანამ ჩვენი ფრონტი უნდა დარჩეს, რადგან მისი მიზანია, აგვაშოროს რუსეთის აშმორებულ რეაქციის შემოსევას და განამტკიცოს თავისუფლება და დემოკრატიული წყობილება. მომხსენებლის აზრით ინგლისი ჩვენს დამოუკიდებლობას დიდი სიმპატიით უცქერის. ის არ იზიარებს ზოგიერთების აზრს, თითქოს მათი შემოსვლა ჩვენში საზარალო იყოს. ბალშევიკების გამოსვლების და მათი ფურცლების შესახებ ამბობს, რომ პოლიტიკური ჯგუფის, ან პარტიის ასეთი გამოსვლები დემოკრატიულ ქვეყანაში მას ასეთი წყობილების მოღალატეობათ მიაჩნია და კითხულობს: მოუტანს თუ არა ხალხს რაიმე კარგს ასეთი ლოზუნგებით გამოსვლა, რომელიც ჯარის და ფრონტის მოშლას ქადაგობს? უადგილო კომუნიზმი ანარქიათ იქცა და ამიტომ ვამბობ: თავის დროზე უნდა დაცვა იმ წყობილების, რომელიც განათლებულ ქვეყნებშიაც ჯერ ოცნებათ არის. ჯერ დემოკრატიული წყობილების განმტკიცება და შემდეგ სოციალიზმისთვის მზადება, აი რა გზას ადგას ხელმძღვანელი პარტია, ს. ს. დ. მუშათა პარტია. (ძხუნვალე ტაში). ჩვენმა დემოკრატიამ, საქართველოს მშრომელმა ხალხმა ორი მხრივ გამოიჩინა პოლიტიკური სიბ ძნე. ეს არის ფრონტზე: საზღვრების დაცვაში და შიგნით, მშვიდობიანობის აღდგენაში, ნურც იმას დაგვწაძებს ვინმე, რომ დემოკრატიული წყობილება ჩვენ გვაკმაყოფილებდეს—დემოკრატიული წყობილების დაცვა მხოლოდ საშუალებაა საბოლავო მიზნის მისაღწევათ. ეს ჩვენ კომუნისტებზე ნაკლებ არ გვწამს, მაგრამ ერთი მითხაროთ: თუ სკოლაა არ გახსნით, ბავშვი სად უნდა გამოიხარდოს, თუ დემოკრატიული წყობილება არ გვექნება, პოლიტიკური შეგვება საიდან უნდა მივიღოთ? (ტაში) დასასრულ ორატორი მოუწოდებს ხალხს მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდები ჩვენს ჯარს და გვაოდიას, მობუცები კი დაეხმარონ მათ ზურგიდან. თავის ვრცელ სიტყვას მომხსენებული შედეგი სიტყვებით ათავებს: „გვაუძაოჯოს ჩვენს ჯარს ფრონტზე და გაუმაოჯოს ჩვენს ხალხს შიგნითო“. (დაუსრულებელი ტაში) შემდეგ ლაპარაკობს მოქ. ქოისტეფოროე რაქველიშვილი. ის ამბობს ვრცლათ ფოიტის დღის მნიშვნელობაზე. ვრცელ გამმარტებას იძლევა წინა ფოიტის და ეხლანდელი ფოიტის შესახებ. ამბობს, თუ რისთვის იბრძოდა ჩვენი ჯარი მაშინ, როგორ ომში ღებულობდა ის მონაწილეობას და რისთვის იბრძვის ჩვენი ჯარი დღეს და სხვა. ორატორს ტაშით აჯილდოვებენ. მოხსენებებით დამაწუნი კაუოფილი რჩებიან და ერთხმათ ღებულობენ შემდეგ დადგენილებას. ბათუმის მოაგეოაქეთა ძიტინგი სალამს უძღვნის ჩვენს ფრონტზე ეხლო-გიულათ მებრძოლ სახალხო გვარდიას და ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკანურ ჯარს, ძიტინგი აცხადებს, რომ იგი მზათაა ყოველ მხრივ დაუჭიროს მხარი თავის მოძმეთ ძოვალეობის აღსრულებაში“. ძიტინგის დასასრულ თავმჯდომარე მოუწოდებს ხალხს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ფროიტის დღის ჩატარებაში, გაიღოს თავიანთი წვლილი მეომრების დასახმარებლად. შეძოწირველთა სახელი და გვარი დიდის მადლობით იქნება მიღებული კომისიის მიერ მოწყობილ „კიოსკებში“ და გაძოქვეყნებული გაზეთებში. საღამოს 7 საათზე და 35 წუთზე მიტინგი დასრულდა.

საღამოს 9 საათზე თეატრის დარბაზში ფრონტის მნიშვნელობაზე და მიმდინარე მომენტზე ვრცელი ძოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა გრ. უოატაძემ. ჩვენმა რევოლიუციამ, ჩვენმა დემოკრატიამ ძოვალი ასეთი დღეები შექმნა, ძაგრამ არც ერთი ისინი არ არიან ისე ძაიშვნელოვანი, როგორიც აის ფრონტის დღეა. შემდეგ მომხსენებელი იწყებს რევოლიუციის პირველი დღეებიდან და სრულა ანალიზი გაუკეთა დღემდლამდე.

ძეორე განკოფილებაში ლექსებს კითხულობს ახალგაზრდა ბგოსანი ქალი საფო მგელაძე და ახალგაზრდა ბოწაფეები. ძომღერალთა გუნდი ასრულებს ქართულ კახურ სიმღერებს. შესრულებულ იქნა გურული სიმღერებიც. დასასრულ იმღერეს სააძდოოვო კუპლეტები. ხალხი ღამის 12 საათზე ნაიამოვნები დაშალა. სულ ფროიტის დღიდან შეკოვიდა 7,000 მანეთამდე. გოლა.

თეატრი და მუსიკა

თფილისი. ძიადა პატაია დეკლამაციის საღამოს აკეთებს ოქტომბრის 1-ს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრში. ბილეთები იყიდება ადგილის მაჩვენებელი ბიუროში ოპერის თეატრის ფოიეში.

ბათუმი. ძიადა პატაია დეკლამაციის საღამოს აკეთებს ოქტომბრის 1-ს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრში. ბილეთები იყიდება ადგილის მაჩვენებელი ბიუროში ოპერის თეატრის ფოიეში.

მკითხველს, ალბ დაესწროთ ეხსოვებათ, რომ სანამდე თეატრი იყო ვიღაცა მოიჯარადრეს ხელში, თუ რა ნაირ დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი! იქ იმართებოდა წარმოდგენები არა ისეთი, რომელიც ხალხს გადაუშლის წინ ცხოვრების მიზნებს, აუნთებს გულში წმინდა იდეალისათვის ბრძოლის ცეცხლს, არამედ იქ იდგმებოდა ქუჩური პიესები, ცინიკური სიმღერებით. რასაც მარტო გარყვნილება შეჰქონდა, ისედაც უკან ჩამორჩენილ ავლაბრის საზოგადოებაში.

ხშირათ შეხვდებოდით შიგ თეატრში ღვინის სმას, ლოთობას, ავლაბრულის გინებას და ჩხუბს...

მოკლებული იყო საზოგადოება კარგ დრამებს, რაც რომ გამაფაქიზებელია და გამაფხიზლებელი ადამიანის გონებისა. ამიტომაც შორს გაურბოდა თეატრს შეგნებული საზოგადოება.

სწორეთ ამ დროს კეთილი ინება მე-3 რაიონის გვარდიის შტაბმა, გამოჰგლიჯა მოიჯარადრეს ხელიდან თეატრი და თვითონ აიღო საკუთარს ხელში და სიკოცხლის ძალა ჩაჰბერა მას! მოსპო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პიესების დადგმა. დაიწყეს ახალი დროის დრამები და თეატრს გამოაცოცხლება დაეტყო და ხალხიც უფრო დაეტანა მას.

ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა ამ გარემოებას, მაგრამ დიდს ხანს არ გაგრძელდა სიხაროული. საწუხაროთ, ისევ დაიწყეს ნების დართვა არშინ მალალანისებური პიესების დადგმისა.

მე მსურს მიუთითო თეატრის ადმინისტრაციას ზოგიერთ დეფექტებზე.

1-ლი ის, რომ არ უნდა ჰქონდეს ადგილი ისეთს პიესებს, რომელიც ხალხის გონებისთვის მავნებელია, გამრყვნელი!

მე 2, ბილეთები იყიდება, ადგილის მაჩვენებელი ბიავინ არის და ვისაც სადაც სურს იქ დაძრახდება. ეს იწვევს უწესოებას.

მე 3, წარმოდგენა იწყება მეათე საათზე, ბევრჯელ სრულ ათზე. საჭიროა ბოძები იქნას ძიღებული, რათა თავის დროზე იწყებოდეს წარმოდგენები და საზოგადოებას არ უხდებოდეს დიდი ბნით ლოდინი.

ზოგიერთ პიესების დადგმაში არის ბევრი დეფექტები. ხშირათ როლს ასრულებენ ისეთი ახალგაზრდები, რომელნიც ჯეროვანად ვერ ასრულებენ დანაკისრ მოვალეობას, რაც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრეებზე. საჭიროა ამასაც შესაფერი ყურადღება მიექცეს.

ა. მაწანწრელი.

მეომართა ოჯახებისთვის *).

სომხებთან ომის დაწყების დროს ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ შეადგინა მაზრის მეომართა დამხმარე კომიტეტი და მისი განყოფილებები ყველა საზოგადოებებში. მიზნათ ჰქონდა ერობას შეეკრიბა რამოდენიმე თანხა და ამით მცირედი დახმარება გაეწია მებრძოლთა ოჯახებისათვის. მოლოდინი გამართლდა, გურიის ხალხმა უხვათ გამოიღო თავისი წვლილი.

სულ გურიაში შეგროვდა 69,824 მან. 66 კ. ფულათ და მრავალი შემოწირულება ნივთებით, საბწუხაროთ, გაზეთის ფეულცლები, საშუალებას არ გვაძლევს აქვე მოვათავსოთ შემომწირველთა დაწვრილებით სია და ვაცხადებთ მხოლოდ საზოგადოებათა და დაწესებულებათა სახელებს, რომლებმაც შეგროვილი თანხა და შემოწირულება გადმოსცა ერობას.

სულ შემოვიდა ერობის განკარგულებაში: ოზურგეთის ქალაქის გამგეობისაგან ქალ. ოზურგეთში შეკრებილი 13223 მ. 90 კ., ჩოჩხათის საზოგადოებ. 2072 მ. 30 კ., გურიანთის საზ. 1282 მ. 05 კ., დვაბზუს საზ. 2271 მ. 30 კ., ნიგოითის საზ. 1674 მ. 55 კ., ლანჩხუთის საზ. 5099 მ. 76 კ., ზკძობეთის საზ. 891 მ. 05 კ., მიქელ-გაბრიელის საზ. 6001 მ. 07 კ., ბასილეთის საზ. 2901 მ 90 კ., ხვარიბეთის საზ. 5122 მ. 81 კ., აცანის საზ. 1665 მ. 40 კ., შკოკმკდის საზ. 1077 მ. 40 კ., ლიხაურის საზ. 2711 მ. 20 კ., ნაგომარის საზ. 457 მ., სუოეების საზ. 1801 მ., სუფსის საზ. 1163 მ., ჩიბათის საზ. 3775 მ. 95 კ., ჯუოუყეთის საზ. 3498 მ., ძამითის საზ 1892 მ 60 კ., ერკეთის საზ. 971 მ. 40 კ., აკეთის საზ. 2050 მ., ბახვის საზ. 2817 მ. 45 კ., სოფ. კვარცხავა 522 მ. 70 კ., სოფ ეწეოძა 46 მ., სოფ. ტოლეთმა 168 მ. 10 კ., სოფ. გოგოლეს უბანმა 304 მ. 35 კ., სოფ. ზემო ფოცხვაძ 102 მ., სოფ. შუა ფოცხვაძ 104 მ. 35 კ., სოფ. ბურნათმა 250 მ. 90 კ., სოფ. საყვავის ტყემ 138 მ. 55 კ., ამაღლებამ 1775 მ., სოფ. დაბლა ციხემ 92 კ., სოფ. ბანეიშკილისეულმა 476 მ. 76 კ., ასკანის საზოგ. 924 მ. 86 კ., ოზურგეთის ქალაქის თავ. მურვანიძისაგან ქ-ნ ცეცხლაძის მიერ შემოწირული 100 მ.

სულ შემოვიდა 69,824 მან. 66 კ., აქედან აღმოჩნდა: ყალბი ფული ორმოციანი, ოციანი და თითო მანეთიანები—222 მან., თათრული ფული 10 პიასტრი—1 მ. 60 კ., დახეული ფულები 20 მ., დაიხარჯა მოგზაურობაში, დეპეშებში, პლაკატების დაბეჭდვაში და სხვა წვრიმანი ხარჯები 232 მ. 50. სულ 476 მ. დარჩა ნაღდი 69,348 მან. 56 კაპ., გარდა ამისა სხვადასხვა პირებმა შემოსწირეს შემდეგი ნივთები: 1) წინდები 59 წყ., 2) ხელთათმანი 43 წყ., 3) სამაჯე 4 წყ., 4) ქეჩა 3 ცალ., 5) ქურქი 1 ცალ., 6) ფუფაიკა 1 ცალ., 7) ჟილეტი 1 ცალ., 8) წუღა 20 წყ., 9) პირსახოცი 5 ცალ., 10) ცხვირსახოცი 11 ცალ., 11) ამანათი ტომრებში გახვეული 30 ცალ., 12) ამანათი 8 ყუთ., 13) თუთუნი 2 დემო., 14) თუთუნი 1 კოლ., 15) თუთუნი დაჭრილი 1 კოლ., 16) თხილი 1 ყუთ., 17) პაპიროსი 65 კოლ., 18) პაპიროსი 3 შეკვრა, 19) პაპიროსის ქაღალდი 10 თით. 15 ცალ., 20) პაპიროსის ქაღალდი 6 ცალ., 21) მახორკა 16 შეკვრა, 22) პაპიროსის ქაღალდი 16 ცალ., 23) მახორკა 2 წყვ., 24) ჩაი 27 შეკვრა, 25) ჩაი 12 ნახ. გირ., 26) მოცვის ჩაი 4 შეკვრა, 27) სპიჩკა 102 კოლ., 28) ქისა 3 ცალ., 29) სტოლის კოვზი 6 ცალ., 30) ჩაის კოვზი 3 ცალ., 31) კონვერტი 117 ცალ., 32) კონვერტი 1 შეკვ., 33) ფოსტის ქაღალდი 83 ცალ., 34) ფოლაქები 2 კოლ., 35) კოჭის ძაფი 5, 36) მურგი ძაფი 1, 37) ჩურჩხელა 50 წყ., 38) ვაშლის ჩირი 4 წყ., 39) არაყი 7 ბოთ., 40) ღვინო 1 ბოთ., 41) ფანქარი 22 ცალ., 42) ქაღალდზე დახ. აბრეშ. ძაფ. 5 ცალ., 43) ყურსახვევი 1 წყ., 44) საცვლები 1 წყ., 45) ფრაკის სამოსელი 1, 46) ქისა საჩუქრებით 1, 47) ტუეურკა 1, 48) ტილო 4, 49) ფეხთათმანი 4 წყ., 50) ნემსი 3 შეკ., 51) დანა 1, 52) სარკე 7, 53) ყაბალახი 1, 54) გამაში 1, 55) ქუდი 1, 56) მანდარინი 2.

შემოსული ფულებიდან 50.000 მანეთი გადაეცა თფილისის მეომართა დამხმარე კომიტეტს, დანარჩენი 19.824 მან., 66 კ. ინახება ოზურგეთის ხაზინაში და გამგეობა ამ თანხიდან დახმარებას უწევს იმ გმირების ოჯახებს, რომლების ოჯახების წევრი მსხვერპლი გახდენ სამშობლოს დაცვის და დაზიანდენ ომში. შეგროვილი ნივთები ყველა გარდაეგზავნა თფილისის მეომართა დამხმარე კომიტეტს ფრონტზე გასაგზავნათ.

გურიის ერობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ცეცხლაძე.

გამგეობის წევრნი: გ. ბერეჟიანი, გ. შილაკაძე, პ. კვირკველია, შ. ჰოჰუა.

განცხადებანი

ექიმი ვ. ფ. ვალოზოლიშვილი
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 დაისწა დიდებას—

კერძო სამკურნალო
ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღმოს 8 საათამდე. (24—19)

ბორჯომში
პროფ. დოქტ. მედიცინისა ვ. პ. ვოსეშვილი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

ექიმი ვ. ა. ვაშრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სომხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი ა. დ. კაკაულია
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116, ტელ. 14—28.

ექიმი გ. მ. მუხაძე
თფილისიდამ გაემგზავრა და 1 ენკენისთვემდის ავადმყოფების მიღება შესწყვიტა. (5—3)

ექიმი ნიკოლოზ იმანეს ძე მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ-ცხე მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ვ. ბ. ვებრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xსხივებით, დიდი სალენოიდი და არსენვალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღა, მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი
ექიმ ძ. თ. ტუეშელაშვილის
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხეილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხეილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი ნ. ს. ვიშლო-სახაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი დ. ნ. ჯაშარიძე
დებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ქალაქის შრომის ბირჟის პინო-თეატრი (მადათოვის ქ.)
შაბათს, 23 აგვისტოს, თფილისის საოპერო ხოროს
დიდი კონცერტი შემდეგი პროგრამით: 1) „ლეგენდა“—მუსიკა ჩაიკოვსკისა, 2) ტორეადორის არია—ოპ. „კარმენიდან“, 3) „კარობუშკა“ რუსული სიმღერა, 4) ინტერნაციონალ სახალხო ჰიმნი, 5) „კატორღელების სიმღერა“ გატვალდის მუსიკა, 6) მალაროსიული სიმღერები, 7) გლეხების ხოროოპ. „ევგენი ონეგინიდან“, როიალთან ცენოვსკი. კონცერტის შემდეგ ეკრანზე ნაჩვენები იქნება ცხოვრილი დრამა ნელლი რაინევა. 4 ნაწილად ბრაბენდერის და რახმანოვის მონაწილეობით, დასასრულ სანახავი და კომიკური. ადგილების ფასი 4 მან.—14 მანეთამდე. თუ ავდარი დაიჭირა კონცერტი გადაიდება. ანონსი: კვირას 24 აგვისტოს დიდი საბავშვო დღე. სასწაული ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით.

ვაჟთა მესხუთე გიმნაზიაში
მისაღები და გახმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 8 დან, სწავლა კი—15 დან. თავისუფალი ადგილები მოიპოვება, როგორც პირველ და მეორე გაეროვნებულ ქართულ-სომხურ კლასებში, აგრეთვე დანარჩენ არა გაეროვნებულ კლასებშიაც. თხოვნები მიიღება გიმნაზიაში ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.

სვეის (გურია) უმაღლ. დაწუბით სასწავლებლის
პედაგოგიური საბჭო იწვევს სასწავლებლის
გამგეს და სამ მასწავლებელს სახოგადო სავნებისას.
მსურველთ განცხადება კურიკულუმ ვიტეთი უნდა გამოგზავნონ 1 ენკენისთვემდის შემდეგი მისამართით: ჩოხატაური-ხევი, უმაღ. დაწყ. სასწ. საბჭო. (2—2)

*) სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდე ვერ დავბეჭდეთ. რედ.